ოქმი №4

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 4 ოქტომბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობი"-ს თავმჯდომარე - ლ. კუჭავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის" თავმჯდომარე - ი. კაჭარავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2024 წლის 3 ოქტომბერს სენაკის მუნიციპლიტეტის მერიიდან შემოსულია მომართვა №40-402427759 (სარეგისტრაციო №12-41242773-41) განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე", სადაც მოთხოვნილია წარმოდგენილი პროექტის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა და ასევე აღნიშა, რომ მიზანშეწონილია დაინიშნოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა წარმოდგენილი საკითხის განსახილველად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის სმუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

დღის წესრიგი:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე- საბა ოდიშარია

2. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე- საბა ოდიშარია“

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 4 ოქტომბერს.

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია